№ 191 სექტემბერი 7, პარასკევი 1890 სექტემბერი 7, პარასკევი № 191

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუქიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въъ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

1891 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისსა, ბათუმსა და გორში ეღირება 75 კ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

სათეატრო განცხადება

ვისაც ჰსურს ემსახუროს ქართულს სცენას, მიჰმართოს ბ-ნ ვ. ა. აბაშიძეს ქართულს თეატრში დილის 10 საათიდგან 12-მდე. (10—2)

ახალი ამბავი

*** გზათა მინისტრი, ბ-ნი ა. ი. გიუბბენეტი აპირობს, დაათვალიეროს რუსეთის რკინის გზები და ნავთ-სადგურები. 4-ს ან 5-ს სექტემბერს მინისტრი გამოვა პეტერბურგიდგან, დაათვალიერებს ზოგიერთ რკინის გზასა და ნავთ-სადგურს და 13—14 სექტემბერს კავკავში მივა, საიდანაც საქართველოს სამხედრო გზით გამოემგზავრება მცხეთისკენ; მოივლის რიონსა, ტყიბულსა, ქუთაისსა, ხაშურსა, სურამსა, ფოთსა, ბათუმსა და შემდეგ ტფილისში ჩამობრძანდება. ტფილისში ბ-ნი მინისტრი დარჩება, 23 სექტემბრამდე. ამ ხანში ბაქოსაც ნახავს და შემდეგ ისევ პეტერბურგს დაბრუნდება.

*** კავკასიის სამკურნალო საზოგადოების განკარგულებითა და მთავარ მმართველის შერემეტიევის ნებადართვით დაიბეჭდა ქართულს ენაზე წიგნაკი: „როგორ უნდა მოუაროს კაცმა თავის თავს და რა ღონისძიება უნდა იხმაროს ხოლერას გაჩენამდე და გაჩენის შემდეგ“. წიგნაკში მოყვანილია სხვა-და-სხვა გვარი და ფრიად სასარგებლო ცნობები. ენა წიგნაკისა თუმცა ადვილი გასაგებია, მაგრამ შიგა და შიგ კორექტურული შეცდომებიც ცოტა არ არის. სასურველია, რომ ეს წიგნაკი გავრცელდეს ხალხში.

*** დოლის გამგე საზოგადოებას მალე ექნება ზაფხულის შემდეგ პირველი სხდომა და, როგორც გავიგეთ, ამ სხდომაზე საზოგადოების ერთი წევრთაგანი წაიკითხავს მოხსენებას: „თუშ-ხევსურთა ცხენის ჯიშის თვისებანი და რაოდენად გამოსადეგია აქაური ცხენი მთაში თოფ-ზარბაზნის გადასაზიდ-გადმოსაზიდად“.

*** მღვდელ-მონაზონი კალისტრატე, ვარძიის მონასტრის წინამძღვრად ნამყოფი, გვწერს, რომ იმ ძველს სახარებას გარდა, რომლის შესახებაც ამას წინად გწერდით, მეორე სხვა სახარებაც ვიპოვე [illegible] იმავ ოჯახში, სადაც ის პირველი სახარება იყოვო, ესე იგი, ერთის ბერძნის ოჯახშიო. ბერძენმა სთქვა, რომ ჩემი პაპის პაპა მღვდელი ყოფილა და ეს სახარება იმისაგანა მაქვს დარჩენილიო. ვსთხოვე მოეცა ჩემთვის და სამაგიეროდ ან ფული მიეღო, ან ხატი, მაგრამ არ დამთანხმდა. ჯერ მე მამკლან და მერე ისე გავიდეს ჩემის სახლიდამ ეს „ზიარათიო“, მიპასუხა. ეს სახარება პირველ სახარებაზედ მოდიდოა: სიმაღლე აქვს ციდა-ნახევარი, განი—ციდა და ერთი გოჯი. დაწერილია ძველ სქელ ქაღალდზე და არა ეტრატზე, შეკაზმულია ტყავით, წინა-პირი ირგვლივ ვერცხლით მოჭედილია. შუაში ვერცხლის ჯვრები აქვს და დასხმულია ხშირი პატარ-პატარა ფოლაქები. მინაწერი აქვს ასეთი: „შეიწყალე ფრიდონ ბაზაზაშვილი და მეუღლესა მისსა მანგუშარას შეუნდოს ღმერთმან“... „დიდება ღმერთსა და წმინდასა დიმიტრის, კალმახის ციხესა შინა რომე სვენია, წმინდა ოთხ-თავი მისსა კარის ბჭეთა დაიწერნეს“... ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა წმინდანი ოთხნი თავენი კალმახ ციხესა შინა წმიდის დიმიტრის ბჭეთა—ხელითა ფრიად ცოდვილისა და ულირსისა სულითა საწყალობელისა, მთავარ დიაკონის რომანოზისათა, ქორონიკონს სკბ (ესე იგი 1534 წელს და არა 934 წ., როგორც ჰგონებს მღვდელ-მონაზონი მამა კალისტრატე). წარწერაში მოხსენებული კალმახი იყო კლარჯეთში, იქაურ ერისთავთ სამყოფელი ადგილი: „კალმახს ეკლესია გუმბათიანი, დიდ-მშვენიერად ნაგები, კეთილ-მშვე[illegible] ადარნასე (881—923 წ.); დაფლულ არიან მეფენი, იჯდა ეპისკოპოსი, მწყემსი ფანასკერტისა და სრულიად ტაოსი.“ (გეოგ. ვახუშტისა, გვ. 118).

*** პოლიციის მიერ შეკრებილის ცნობით, ნახევარ მილიონის ზარალი მოსვლია ამიერ-კავკასიის რკინის გზას ცეცხლის გაჩენის გამო ტფილისის სახელოსნოების სადურგლო განყოფილებაში.

*** ბაქო: 4 და 5 სექტემბერს ფინანსთა მინისტრმა დაათვალიერა აქაური ნავთ-საწარმოებელი ქარხნები და ჭები: მირზოევებისა და ამ. ძმათა ნობელებისა და ინახულა აგრეთვე ნავთ-გასაყვანი სადგური კასპისა და შავის ზღვის სანავთო საზოგადოებისა (როტშილდისა). მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ძმათა ნობელების შადრევანს, რომლიდამაც დიდძალი ნავთი სჩქეფს აგერ უკვე მეცხრე თვეა. 4 სექტემბერს მინისტრი მიწვეული იყო საუზმეს მისართმევად „ბალახანის ტეხნიკების კლუბში“. საღამოზე მინისტრმა დოკი დაათვალიერა ბაქოსი.

*** ცხინვალი: ეს ზაფხულიც გავისტუმრეთ. მაგრამ ვერაფერი ზაფხული იყო. პურისა და ქერის მოსავალი ძალიან ნაკლები აღმოჩნდა აქეთ სოფლებში. სიმინდიც გვალ-ვამ გააფუჭა; ფეტვისა და შვრიის მოყვანა საიმისოთ არ ეხერხებათ. ათს კომლში ერთს ძლივს მოუვიდა სარჩო, დანარჩენებმა ნახევარ წლის სარჩო ძლივს მოაგროვეს. ღვინო ამ ზაფხულს ძვირი იყო [illegible] წელს ვენახებს რიგიანად ასხია, თუ ამ სიკეთის დროს არამ უხმარა-რა. ხილი ბლომად არის, თუმცა შარშანდელი ხილის მოსავალი სჯობდა. შარშანდელივით ბევრს წრეულს ვერ გაეყიდით, მაგრამ იმდენი-კი მოვიდა, რომ ზოგიერთი წვრილმანი ხარჯი მოვიშოროთ იმის გაყიდვითა და ჩვენც იოლად წავიდეთ. შარშან მარტო ქვერისიდგან

ფელეტონი

დროთა ბრუნვა

შემდეგი*)

მესამე მოქმედება

(ლაბაზანას ტრაქტირში)

(სცენა წარმოადგენს ლაბაზანას ტრაქტირს, აქა-იქ სტოლებია, ერთ სტოლზე დალაგებულია თეფშები და ვახშამია მომზადებული).

I გამოსვლა

თამაზი ლუკა და სანდრო სტოლთანა სხედან

თამ. (მთვრალის ხმით მღერის) შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული, სევდამ უწყალოამ მამიკლა სული?..

ლუკა. კნიაზჯან, შენი კოკობი სულის ჰირიმე, მტრედივით რო ღუღუნებ, მტრედივითა!

სანდრო. აფერუმ, კნიაზ, აფერუმ! შენისთანა სიმღერა ვიცოდე, მაშინ ფული რად მინდა? შენც იმიტომ არ გიყვარს იმ სომხის სულის შანახვა აი!

თამ. ან რათ მინდა? დღესა ვარ, ხვალ არა ვარ, რა ჯანაბათ მინდა? იმ ჩემ წამწყმედს დაუგდო, სულ ერთია, თავს მიუჭყლეტს ერთ როდისმე. ხუთი მანეთი მიჩხრიალებს ჯიბეში, უნდა სუ სიქა ამოვართო. ხვალ კიდე სოლომანაა ჩემი მოწყალე; ვენაცვალე იმას სულში, ის რო არ იყოს, თავს ვიცოცხლებდი ქვეყანაზე? ლუკა, სანდრო, იცით, რა კაცია სოლომანა? ანგელოზი იცი რა არი? წმინდა გიორგი-მეთქი, ღმერთი ღმერთი-მეთქი! იცი, რა არი სოლომანა, ღმერთია-მეთქი, ღმერთი!..

ლუკა. კაცი ღმერთი რათ იქნება, კნიაზჯან?—კაი კაცი კია!

სანდრო. ღმერთი რასა ჰქვიან,—ემანდ არ გაგიწყრეს!

თამ. (პირჯვარს იწერს) ღმერთო, მაპატიე, თუ გაწყენინე,— მაგრამ განა სოლომანა შენი ღირსი არ არი?

ლუკა. ეჰ, საქმე არა გაქვს, თამაზ,—შენც ლოცვას მოჰყევი სმის დროსა?—ერთი კაი ამბავი გვიამბე რამე,—ქვეყანა გაქვს მოვლილი.

სანდრო. ჰო, კნიაზ, გამიგია, რო ქალაქში ნამყოფი ხარ, ბევრი გამოგივლია შენ სიცოცხლეში; ქალები ძალიან გიყვარდაო,—შენც თურმე ძალიან უყვარდი ქალებს.

ლუკა. მართლა, ბიჭო,—აბა ერთი გვიამბე, როგორ იყო, რო თავი მოგპარსეს დახურულ ბაზარში?

თამ. (იცინის) ბევრი რამ გადამხდია; ქალები ჩემთვინ გაგიჟებულები იყვნენ, სულ სახლში მიხტებოდნენ!

ლუკა. მერე ცოლიან კაცსა,—ჰა, ჰა, ჰა!

თამ. ჰა, ჰა, ჰა,—მერე ბაბუცამ რა იცის ჩემი ოინები, თორე სახლში შამიშვებდა? ახალი ჯვარდაწერილი ვიყავი, ქალაქში რო მოვხდი,—სუ ტუტა ავადინე ქალაქელ გოგოებს? (იცინის)

ლუკა. გვიამბე, გვიამბე, როგორ იყო, რო თავი მოგპარსეს?

სანდრო. ერთი თქვი, კნიაზჯან, თავის მოპარსვის ამბავი!

თამ. რა გაღლეტილი ხალხია ქალაქში; იმ ჰარამზადებს-კი კარგები მივართყი; ერთი კიდე ჩავსულიყავ ქალაქში, მე ვიცოდი, რასაც უზამდი იმ ჰარამზადებს!

ლუკა. როგორ იყო? როგორ იყო?

სანდრო. თქვი, შენი სულისა, როგორ იყო?

თამ. ის ჰარამზადები, ის ჰარამზადები! ნეტავი ერთი კიდევ შამხვდნენ; თუ ცოცხლები გადამირჩნენ, მაშ ეშხისა იყოს! ბაზარნიკი რო არა ყოფილიყო, ცოცხლებს გაუშვებდი? მთა მთას არ შახვდებაო!..

ლუკა. არა ერთი თქვი,—იმ შაფათის ვახშამი ჩემზე იყოს!

სანდრო. თქვი, შე დალოცვილისშვილო, რაღა!

თამ. მაშ ვახშამი თქვენზე იყოს? გეტყვით მაშ!—რა ჰარამზადები არიან! (იცინის)

ლუკა
სანდრო { თქვი, ვახშამი ჩვენზე იყოს, გოგოებიც იქნებიან!

თამ. გოგოებიცა? თქვენი სულის ჰირიმეთ, მაშ ბევრ რამეს გიამბობთ!

ლუკა. თქვი რაღა!

სანდრო. ვაი თუ ბაბუცამ გაგიგო, მაშინ ნახე შენი ბუწუწებით თრევა!

თამ. ერთი შენი მეშინიან, მეორე იმისი! დედაკაცი დაბერებულა, მოლოზნობა უფრო ეკუთვნის, მე-კი ვაჟკაცსა რა დამაბერებს? აბა შამამხედეთ, სვინიდის ქვეშა თქვით, ოც-დაათი წლის ვაჟს არა ვგევარ?

ლუკა. ვა, ვა! შენგან არ მიკვირს? აბა ვინ ოხერი იტყვის, რო ოც-დახუთისა მაინცა ხარ? თავზე მაინც არ გეტყობა,—ბლაღოჩინის კალოს მიგიგავს!

სანდრო. შენ კოკობ ულვაშებს შახედო!—ისე გაქვს გაწყობილი, როგორც სიმინდის ფოჩი!

თამ. მე [illegible], [illegible] ცხოვრებამ, თქვენზე ჯაგლაგი ვარ!—რა შაგიძლიანთ? აბა რა შაგიძლიანთ? ადამიანურად ხმა არ შაგიძლიანთ, ერთი და მეორე! რა ხართ, რის მაქნისი ხართ?—ეხლა-კი არა ფეთდებიან ჩემთვინ გოგოები? აბა დაუძახოთ, ეხლავე დაუძახოთ, თუ თქვენ შამოგხვეთონ კიდევაც,—მე-კი ზედ დამაკვდებიან?—ლაბაზან, ლაბაზან!

ლუკა. თერთმეტი საათია,—ეხლა დრო არ არი, კნიაზ, იმ შაბათს ბაღში დავპატიჟოთ!

სანდრო. დრო არ არი, კნიაზ, დრო არ არი!—შენ ის ამბავი გვიამბე!

თამ. (იცინის) გეშინიანთ განა? გეშინიანთ განა, არა გრცხვენიანთ? მინდა ერთი ხეირს უყურო!—ლაბაზან, ლაბაზან!

ლუკა. არა, თამაზ, დრო არ არი, სიყმის მზემ!

სანდრო. ეხლა დრო არ არი, კნიაზ,—რა დროსია?

თამ. (იცინის) გეშინიანთ?—ლაბაზან, ლაბაზან!

ლუკა.
სანდრო. { ჰა, კარგი, თუ ღმერთი გწამს, რა დროს ეგენია?—მაშ შინ წავიდეთ!

თამ. ჰი, ჰი, ჰი! გეშინიანთ განა? დაუძახო? ჰი, ჰი, ჰი!

---

*) იხ. „ივერია“ № 181 182, 183, 184 185, 189 და 190.

200 ურემი ვაშლი და ამდენივე მსხალი გავიდა კავკავისაკენ. წვრილ-წვრილად გასყიდული კიდევ სხვა იყო. ქურდობა, ცოტა არ იყოს ფეხს იდგამს. არა თუ ოსები, ძენი ისრაილიხანიც-კი ეტანებიან ქურდობას. თითო-ოროლა სენიც არის აქეთ: მუცელა, ფილარათობა და ეს გარემოებაც საკმაოდ გვაწუხებს.

⁂ თელავიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ 2 სექტემბერს აქ მოელიან გრაფინია უვაროვისასაო. ამ შემთხვევისათვის მოაგროვეს სხვა-და-სხვა საარხეოლოგიო ნივთი და უნდათ გააშინჯონ გრაფინიას. ამ ნივთებ შორის არის დიდი ოქროს ბეჭედი უცნაურის წარწერებითა. ეს ბეჭედი იპოვეს, როცა სთხრიდნენ ერთის სახლის საძირკველს.

◆◆

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა. როგორც უწყის მკითხველმა, რაჭველებს წლის მოსავალი ადგილის სივიწროისა და სხვა მიზეზების გამო გაზაფხულამდის ძლივს ჰყოფნის; ბევრს ზამთრამდე შემოაკლდება ხოლმე საფანელი: პური და სიმინდი, ნამეტურ ღვინო. ღვინის დაკლება ისე არ აწუხებს აქაურს მცხოვრებლებს, როგორც სიმინდისა და პურის. ამ ორიოდე წლის წინად რაჭველები ეზიდებოდნენ სიმინდს იმერეთიდამ ნაქერალას გზით და სხვ. პირველი ამ გზებთაგანი ამ ჟამად ისეთ ყოფაში არის, რომ, არა თუ ურმებით ვერ მიდი-მოდიან აქაურები, ცხენებითაც დიდის გაჭირვებით და კისრის ტეხით [illegible] გარემოება არის მიზეზი იმისა, რომ ტყიბულში, სადაც იმერეთიდამ რკინის გზით მიდის სიმინდი, რაჭველები ვერ ჰყიდულობენ. ამ გაჭირებიდამ, სანახევროდ მაინც, ჩვენი ხალხი იხსნა ღმერთმა მას აქეთ, რაც რაჭაოსეთის გზა გაკეთდა. დ. ონში სალიგვერდიდამ და თერგის მხრის სხვა სოფლებიდამ ოსებს სიმინდი ბლომად მოაქვთ ურმებით. კოდი სიმინდი იყიდებოდა ამ ზაფხულს რვა აბაზათ, ოსური საწყაო-კი—ოთხ აბაზად. საუბედუროდ ეს ფასი, რომელიც ხშირად მატულობს, უმძიმს ხალხს; ეს ოსური სიმინდი (ამერიკული ჯიშისაა) არ მოსწონთ გემოთი და თესლად ხომ სრულებით არ გამოადგებათ, რადგან ამ ჯიშის სიმინდი აქ ვერ ჰხეირობს აქაურის ბუნების თავისებურობის გამო. ისევ ამ სიმინდის ყიდვას ხალხი ტყიბულს წასვლას და იქ სიმინდის ყიდვას ამჯობინებს; ხარები და ცხენები მაინც არ დაგვეხოცება ნაქერალას გზითაო.

თუმცა ნაქერალას გადაურჩნენ აქაური ხარები, მაგრამ საქონლის ჭირს, რომელიც ყოველ-წლივ ეწვევა ხოლმე რაჭას, ვერ აშორდნენ. საქონლის ავადმყოფობა გადმოიტანეს აქ ქართლურმა ხარებმა. ხალხი უვიცია, გაუნათლებელი და ხშირად ვერც-კი ატყობს, საქონელი ჭირით არის ავად თუ არა; ამიტომაა, რომ საქონელს, ჭირიანს და უჭიროს, ერთმანეთში ურევენ, სანამ ოთხფეხი სასიკვდილოდ თავს არ წასდებს. მაშინ-კი გლეხი აბამს საბელს ჭირიანს საქონელს, მიჰყავს ტყეში ანუ კლდეში, სადაც იგი „ქორთას“ აკეთებს; საწყალი პატრონი დღე და ღამ უყარაულებს და თვალ-ცრემლიანი დასტრიალებს თავს, ეგებ არ მომიკვდესო; მაგრამ სულ ამაოა გლეხის მწუხარება: მისი მცხოვრებელი და მრჩენელი „წიქარა“ თუ „ნიშა“ ცოტა ხნის შემდეგ კვდება. მკვდარს საქონელს უთხრიან მიწას და ჰყრიან შიგ გულ-დაწყვეტილნი.

სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ცუდად მიდის; სასოფლო სკოლას ჯერ კიდევ ვერ მოუკიდნია ფეხი. სკო-[illegible] ორ-კლასიანის სკოლისა, მთელს მაზრაში მარტო 11 საზოგადოებას აქვს სოფლის სკოლა; ამ უკანკნელს წლებში სამრევლო სკოლებიც გაიმართა შემდეგ სოფლებში: თლუღში, ხონჭიორში და ჯორის უბანში. მთელს მაზრაში რომ მივიღოთ მკვიდრთა რიცხვი 70-ათასი, თითო სასოფლო სკოლაზე მოვა 5-ათასი მცხოვრებელი. თითოეულს სკოლაში ყოველ-წლივ 15—40 შაგირდამდე დაიარება, დაახლოვებით. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ ერთისა და იმავე საზოგადოების სოფლები ერთი-ერთმანეთზე ძლიერ დაშორებულნი არიან; ზამთარში შორის სოფლებიდამ პატარა ყმაწვილებისათვის შეუძლებელია სიარული აქაური დიდის თოვლისა და ქარ-ბუქისაგამო. ასე, გამოდის, რომ ჩვენებური სოფლის სკოლა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ჩვენის ხალხისა ძლიერ მცირე ნაწილი სწავლობს წერა-კითხვას. უნდა გამოვტყდეთ, რომ სკოლას და იმის მასწავლებელს სრულიად არ აქვს ხალხზე ის გავლენა, რომელსაც სხვაგან შენიშნავს კაცი. ახალგაზრდობას, რომელნიც სხვა და-სხვა ქალაქებში „ლაქია-პოვრებად“ არიან, უფრო მეტი ცვლილება შეაქვს დაბალ ხალხის ცხოვრებაში. ესენი წერა-კითხვას სწავლობენ ქალაქებში, იქვე იძენენ თავისებურს ზნე-ჩვეულებას და გაფუჭებულის ხასიათით და ენით ბრუნდებიან შინ. ქალაქებიდამ დაბრუნებული „ლაქია-პოვრები“ ქართულს ენას ჰრყვნიან სოფლებში და ნიკრს უშლიან სოფლელებს ცხოვრებაში. ქალაქიდამ მოსული ჯეჰელები არეულის ენით ელაპარაკებიან სოფლის ხალხს; ამათაც დიდ რამედ მიაჩნიათ, თუ ორიოდე უცხო სიტყვა გამოურია ქართულს ლაპარაკში. ვინც დაჰკვირვებია აწინდელს სოფლურს ცხოვრებას, აშკარად შენიშნავდა, რომ ის წმინდა, ანკარა ქართული ენა, რომლითაც სოფლელებს თავი მოჰქონდათ ქალაქელებთან, თან-და-თან იმღვრევა, ჩირქი ეცხება, და ბოლოს, თუ ასე გასტანა, მგონია, სულ წაიბილ-[illegible] მაშინ [illegible] პოეტის სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“! ასეთი მიმართულების საწინააღმდეგოდ პირველ საშუალებად მიგვაჩნია რიგიანად გამართული სოფლის სკოლა. იმ შემთხვევაში სოფლელები დომხალივით არ ურევენ უცხოს და ქართულს ერთმანეთში: თითოეული ენა თავის შესაფერ ადგილს დაიჭერს ხალხის მეხსიერებასა და ცხოვრებაში.

ჩვენში შესანიშნავად დაქვეითება სწავლა-განათლებისა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ აქაურ სკოლებში რიგიანად მომზადებული მასწავლებელი იშვიათია. ვინც-კი არის სოფ. მასწავლებლად მომზადებული და მიუღია პედაგოგიური სწავლა, ისიც გულ-აცრუებით, გულ-გრილად ეკიდება თავის წმიდა მოვალეობას. ამის მიზეზი რამდენადმე ის უნდა იყოს, რომ აქაურს მასწავლებელს იშვიათად აქვს ოც თუმანზე მეტი ჯამაგირი; ამასაც მასწავლებელი თავის დროზე ვერ იღებს, მუდამ მამასახლისის „პოპოშნიკებს“ უნდა დასდევდეს უკან და ეხვეწებოდეს, რომ ორიოდე მანათი გამოჰკვინცლოს და სიმშილით კუჭი არ გაუხმეს. არა მგონია, რომ სხვაგან სადმე ხალხი ისე ცოტას ჰზრუნავდეს თავის შვილების სწავლა-აღზრდისათვის, როგორც ჩვენში. სულ უბრალო, უმნიშვნელო ჩვეულებისათვის ჩვენებური გლეხი თავის ჯიბეს უკუღმა გადმოატრიალებს, ან ივალებს ფულს და ისე აასრულებს წადილს; სწავლაზე იზრუნეო, რომ უთხრა, მაშინვე ათას გვარად დაიღრიჯება... ღარიბი ვარ და აბა სად შემიძლიანო.

ს—ით

◆◆

წერილები რედაქციის მიმართ

I

მეტად სასიამოვნო საქმეა ის გარემოება, რომ ჩვენი დაბა სოფელი თანდათან იღვიძებს, გონს მოდის, ცნობილობს ავსა და კარგს და ყოველ სასარგებლო საქმეს მხარს აძლევს. აი ერთი ამის მაგალითი. ამას წინად ჩვენ გაზ. „ივერიის“ საშუალებით შესაწევარს ვთხოულობდით გურიის მომავალის სახალხო წიგნთსაცავისათვის. ჩამოვატარეთ ხელის მოსაწერი სია დაბად და სოფლად და რა აღმოჩნდა? ყველანი: თავადი, აზნაური, გლეხი, მოვაჭრე, სასულიერო წოდება, ქალი და კაცი დიდის ხალისით და ყურადღებით მოეკიდნენ ამ ახალდაწყებულს საქმეს და მეტად გაგვამხნევეს უხვის შემოწირულობით. სიით შესდგა ჯერ-ჯერობით 300 მანათამდე, ხოლო აქედგან ფულად მოგროვდა 85 მ. 60 კ., რასაკვირველია, დანარჩენი ხელის-მომწერნიც მალე მოგვაწოდებენ ხვედრ შემოწირულობას. დღეს აქ მოგვყავს იმათი სია, ვინც ხელის-მოწერასთან ფულიც წარმოადგინა. სხვებს მაშინ გამოვაცხადებთ, როცა ფულს შემოიტანენ.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა 25 მანეთის წიგნები და 10 მ. ფულად. წიგნები ჯერ არ მიგვიღია. თ. ივანე ს. ერისთავმა 5 მ. არხიმანდრიტმა გერასიმემ 5 მ. მღ. ფილიმონ ბროკიშვილმა 5 მ., აზ. ანტ. ჭილაძემ 2 მ., ვლად. ხუნდაძემ 3 მ. ანტ. ძნელაძემ 1 მ. აზ. დიმიტრი მგალობლიშვილმა 1 მ., დიმ. სალუქვაძემ 1 მ., ილ. უშვერიძემ 1 მ., ბართ. უშვერიძემ 1 მ., დეკანოზმა ანდრია მგალობლიშვილმა 5 მ., ბესარ. ძნელაძემ 2 მ., ალექ. მგელაძემ 60 კ., თ. კონსტანტინე დ. ერისთავმა 3 მ., ბეს. ლ. კალანდაძემ 5 მ., სერგეი ლ. კალანდაძემ 5 მ., აზ. ჟიმშეთი ბერეჟანმა 5 მ., გიორგი ცინცაძემ 1 მ., თ. ვასკა ერისთავმა 1 მ., აზ. პროკოპი ბერეჟანმა 5 მ., ქ. ნატალია ქიქოძისამ 4 მ., ზედამხედველმა ოზ. ს. სასწ. ნიკოლოოზ ტატიშვილმა 3 მ., თ. კონსტანტინე ვ. ერისთავმა 5 მანეთი და თ. გრიგოლ გურიელმა 5 მ. და წიგნები.

სრული იმედი გვაქვს, რო ამათ მაგალით სხვებიც მიჰბაძვენ და შემოგვეწევიან.

ამხანაგობის წევრი ის. რამიშვილი

2 სექტემბერი.

II

ამასთანავე გიგზავნით ჩემდა რწმუნებულის ჩხრის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოებში ჩემ მიერ შეგროვილს ფულს მარად სახსოვარის ჩვენის ისტორიის და არხეოლოგიის მამათ მთავრის დიმიტრი ზ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ და შემომწირველთა სიას ფულის რაოდენობის აღნიშვნით:

ბლაღოჩინმა მღ. ივლიანე აბესაძემ 2 მ. და 5 კ., მღვდელმა მიხეილ გერულაშვილმა 1 მან., მღ. ნესტორ როფაქიძემ 1 მან., მღ. ბესარიონ შეყილაძემ 1 მან., მღ. დავით აბაშიძემ 1 მან., მოძღვართ-მოძღვარმან მღ. ბესარიონ ყიფშიძემ 1 მან., მღ. გიორგი ლოსაბერიძემ 1 მან., მღ. სპირიდონ ჟულელმა 1 მან., მღ. იოანნე საყვარელიძემ 1 მან., მღ. ელევთერ ბარათაშვილმა 1 მან., მღ სპირიდონ ცერცვაძემ 1 მან., მღ. სვიმონ

ლუკა. რა ხუმარა ვინმე ხარ! გეტ-[illegible]ვით როგორ გიბრჭყიალებს!

სანდრო. ჰაი გიდი, კნიაზ, დავთრები რიგზე გაქვს და გიხარიან რაღა,—ჰა, ჰა, ჰა!

თამ. შაგეშინდათ? ჰი, ჰი, ჰი! ნუ გეშინიანთ, არ დაუძახებ! როგორ შეეშინდათ,—ჰი, ჰი, ჰი!

ლუკა. გიხარიან, შაგვაშინეს; გოგოებმა სულ დაგვაფეთიანეს!

თამ. გოგოებისა' შეეშინდათ—ჰი, ჰი, ჰი, ჰი!

სანდრო. აი მოუნელებელი!—გვიამბე რაღა!

ლუკა. კარგი, გეყოფა სიცილი, გვიამბე თავის მოპარსვის ამბავი!

თამ. ჰი, ჰი, ჰი,—შაგეშინდათ? ჰი, ჰი, ჰი!..

ლუკა.
სანდრო. } სიცილის გუნებაზე ხარ,—წავიდეთ, თუ არ გინდა არაფერი გვიამბო! (ადგომას აპირობენ).

თამ. (დასვამს) კარგით, კარგით, აღარ ვიცინი!—ჰი, ჰი, ჰი!.

ლუკა. აი მწკლარტე პანტა შენ მუცელს! იტყვი?

სანდრო. აცათ! გონია სოლოს ხმა ისმის?

თამ. (შადგება) სოლოსი? არ შამოვიდეს, თორე გავანადგურებ იმ ღვთისგან წყეულს, არ შამოვიდეს-მეთქი!

ლუკა. არავინ არი! ამ დროს პატიოსანი ადამიანი კარში გამოვა?

სანდრო. ისე მამესმა,—ის ამ ოთახზე თავის დღეშიაც არ გამოვლის!

თამ. დაიკარგოს, არ დამენახოს ის გაუზრდელი ვირი!

ლუკა. არავინ არი, კნიაზ,—მოგვეჩვენა!

თამ. დაიკარგოს ჯანდაბას იმისი თავი და ტანი!

სანდრო. ჰო, როგორ იყო, თავი რო მოგპარეს?

ლუკა. თქვი რაღა ქალაქის ამბავი!

სანდრო. როგორ შაგიტყუეს ბაზაზებმა, აბა თქვი, თქვი!

თამ. როგორ შამიტყუეს?—ის არამზადები—ისინი!—შამხვდებიან,—მე უჩვენებ იმათ თამაშას!

ლუკა. შენ თითონ მიხველ, თუ მიგიტყუეს?

სანდრო. მიგიტყუეს იმ ჰარამზადებმა?

თამ. მამიტყუეს მაშ—მაშ არა და! მაშ არა და მე თითონ მიუშვედრი თავს—გამპარსეთ-მეთქი, მერე ქალაქში!

ლუკა. (იცინის) რა გაღლეტილი ხალხია! როგორ მიგიტყუეს?

სანდრო. ხო არ დაგპირდნენ, მუქთათ გაგკრიჭამთო?

თამ. მე დალაქხანა ვიკითხე, იმათ მამიტყუეს, იმ ჰარაზადებმა!

სანდრო.
ლუკა } კარგათ გვიამბე, დილით იყო საქმე?

თამ. დილით მივდიოდი, ველიკი კნიაზის სახლის ნახვა მინდოდა; თმა გძელი მქონდა! მინდოდა გამეკრიჭა; ეს ოხერი, ერთი დალაქხანა არ შამხვდა გზაში!—მივდივარ დახურულ ბაზარზე, ის ჰარამზადები, ისინი! აქეთ-იქით მამძახიან კნიაზ, რა გნებამთ, რა გნებამთ? ჯერ არც-კი არავის შავხედე, რადგანაც სუ ბაზაზის დუქნები იყო; მემრე ვთქვი,—ამათ ეცოდინებათ, სადა დგას ახლო დალაქი-მეთქი.—ჰი, ჰი, ჰი! რო მამაგონდება, ჯავრისაგანა ვსქდები,—ჰი, ჰი, ჰი! რა გნებავს, კნიაზო, მობრძანდით! მეც ავიღე და ვკითხე,—დალაქი აქ ვინ არი მეთქი? ჰი, ჰი, ჰი! მობრძანდი, მობრძანდითო, შაიყარნენ სუ ჯეელი პაჭარნები, შამიყვანეს უკანა ოთახში,—ბნელი ოთახი იყო, ფარჩა ეწყო; ვეუბნები, აქ რა სადალაქოა-მეთქი?—ეჰ, კნიაზო, ხამი ხარ, არ იცი ქალაქის ყაიდაო,—აქ სადალაქო სუ ამისთანააო! რას ვიტყოდი, დავჯექ; მაამზადეს საპონი და დამიწყეს სმა,—მერე განა ერთი მისომს? სამი—ერთი ერთ ლოყაზე, მეორე მეორეზე, მესამე კისერზე! ვამობ,—უთ ოოთ ქალაქის ყაიდაა-მეთქი, არაფერი უთხარი. მემრე დამიწყეს პარსვა; ჯერ ხმა არ ამოვიღე, თუმცა ლოყებზე ტყავს მაძრობენ, მერე-კი შავამჩნიე, რო კისერს მიპარსავენ და მაღლა-მაღლა მიდიან; რასა შვრებით, მე თავის მოპარსვა როდისა გკითხეთ-მეთქი,—არაფერი, კნიაზჯან, ქალაქის ყაიდაო. ვატყობ, ბიჭო, რო შუბლს მიპარსავენ,—რასა შვრებით, თქვე ჰარამზადებო-მეთქი? (ლუკა და სანდრო იცინიან) დაყარეს სამართებლები და გარბიან; სისხლი ყელში მამივიდა, მასხარად ამიგდეს,—გამოუდექ, ამოვიძრე ხმალი, უნდა მამეკლა, რო დავწეოდი, მაგრამ გზაში იმ მუდრეგმა გარადავოიმ დამიჭირა და პოლიციაში მიმათრევს; მე ვიწევ, როგორმე დავეწიო, დავხოცო-მეთქი,—ამას სადღაც მიყყევარ; დაუწყე ცემა გარადავოის, იმან სხვებს დაუშტვინა, შაიყარნენ და წამიყვანეს პოლიციაში. თავი ძლივს დავახწიე... (ხარხარი საერთო)

ლუკა. თავზე საპონ წასმული გამორბოდი რაღა!—ჰა, ჰა, ჰა! (ხარხარებენ)

სანდრო. კისერ გაპარსული!—გოჭივითა!—ჰა, ჰა, ჰა!

თამ. ჰი, ჰი, ჰი!—მერე ბაზარი უკან მამძახის: ტეტი, ტეტი! კუნტრო კნიაზ ლაზარე! ჰი, ჰი; ჰი!—ის ჰარამზადები, ჰი, ჰი, ჰი!—ჯავრისაგან გული მისქდება,—ჰი, ჰი, ჰი!

ლუკა. ჰა: ჰა, ჰა!—მერე შენვე პილიციაში წაგათრიეს,—ჰა, ჰა, ჰა!

სანდრო. რა ვინმე ხარ,—ერთი ოინბაზი!—ჰა, ჰა. ჰა!

თამ. ჰი, ჰი, ჰი!—მაგისთანები გადამხედია! თქვენ რა გინახავთ?

ლუკა. მაშ კიდევა თქვი, კიდევა თქვი! (ხარხარობენ)

თამ. თქვენ რა გამოგიცდიათ, წიწილები ხართ ჯერა!

სანდრო. ყოჩაღ, კნიაზო,—რა ვიცოდი, თუ მაგისთანები გცოდნია, თორე ამფსონი არ გაგიხდებოდი?—მაშ დავლიოთ!

ლუკა. დავლიოთ, დავლიოთ, კნიაზის სადღეგრძელო,—ჰა, ჰა, ჰა!—კიდევ გვიამბობს!

სანდრო. დაასხი, კნიაზ, დალიე! (მხარზე ხელს დაჰკრავს).

თამ. თქვენ სტამქნებში დაისხით, მე მამიჩემის შვილი ვარ,—თქვენსა-

კვესიტაძემ 1 მან., მღ. ბესარიონ ყიფშიძემ 1 მან., მღ. ტიმოთე კაპანაძემ 1 მან., მღ. ალფეზ ბარათაშვილმა 1 მან., მღ. მიხეილ ჯაფარიძემ 1 მან., მღ. პეტრე მიხელიძემ 1 მან., მღ. სპირიდონ აბესაძემ 1 მან., მღ. სპირიდონ ყიფშიძემ 1 მან., მღ. მოსე ჯუღელმა 60 კაპ., მღ. ბართლომე მაჩიტიძემ 60 კაპ., მღ. ბესარიონ გოგსაძემ 50 კაპ., მღ. ბესარიონ აბესაძემ 40 კაპ., მღ. იოსებ აბესაძემ 40 კაპ., მღ. იოსებ ჭუმბურიძემ 40 კაპ., დიაკონმა ფილიპე ყაველაშვილმა 50 კაპ., დიაკონმა სპირიდონ ბრეგვაძემ 40 კაპ., მედავითნე ზოტიკე ჩიქვილაძემ 50 კაპ., პრიჩეტნიკმა დავით ბარათაშვილმა 40 კაპ., პრიჩეტ. სამოელ კვესიტაძემ 40 კაპ., პრიჩეტ. ისიდორე შეყილაძემ 25 კაპ., პრიჩეტ. ლაზარე ფორჩხიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. იასონ ფანჩულიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. კონსტანტინე შოთაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. პორფილე კუპატაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. მიხაილ საყვარელიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. სერაფიონ ყიფშიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. დიმიტრი ბარათაშვილმა 20 კაპ., პრიჩეტ. ამბაკო ჭუმბურიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. სიმონ ცერცვაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. სპირიდონ ხვედელიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. დავით ყიფშიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. ანტონ სარალიძემ 20 კაპ., პრიჩეტ. ილარიონ გამეზარდაშვილმა 20 კაპ., პრიჩეტ. ბართლომე ცეცვაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. ანეპოდისტე მოდებაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. ერასტი ხვედელიძემ 20 კაპ. პრიჩეტ. ილარიონ ყიფშიძემ 20 კაპ. პრიჩეტ. ბესარიონ გამეზარდაშვილმი 20 კაპ., პრიჩეტ. ექვთიმე გოგსაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. სიმონ სალაძემ 20 კაპ., პრიჩეტ. გაბრიელ გაბრიჭიძემ 20 კაპ. პრიჩეტ. ფილიპე ბოჭორიშვილმა 20 კაპ., პრიჩეტ. ფილიპე გიორ. ბოჭორიშვილმა 20 კაპ., პრიჩეტ. ეპიფანე გაბრიჭიძემ 15 კაპ., პრიჩეტ. მეთოდე ლოსაბერიძემ 15 კაპ., პრიჩეტ. სიმონ მაჩიტიძემ 10 კაპ. და სრულიად 30 მან.

ჩხერის საბლაღოჩინო მაზრის ბლაღ.
მღ. ივლიანე აბესაძე

◆◆

რუსეთი

განსაკუთრებული კომისია სახელმწიფო საბჭოსი და იუსტიციის სამინისტროს საკანონ-მდებლო განყოფილებისა აპირობს, გადაათვალიეროს ფინლიანდიის სისხლის სამართლის ახალი კანონ-მდებლობა და ცვლილება მოახდინოს, რადგან ზოგი მუხლი ამ კანონ-მდებლობისა არ ეთანხმება რუსეთის საზოგადო კანონ-მდებლობას. ეს კომისია ამ მოკლე ხანში შეუდგება თავის საქმეს და მომავალის წლის 1 იანვრიდგან უკვე დაიწყებს მოქმედებას ახლად შესწორებულ სისხლის სამართლის კანონ-მდებლობა ფინლიანდიისა.

— რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს ის საგანი, რომ ფინლიანდიისა და რუსეთის ყველა რკინის გზაზე ელექტრონის ლამპრები იქმნას შემოღებული ვაგონების გასანათებლად.

— მთავარი საზოგადოება რუსეთის რკინის გზებისა აპირობს, საცდელად რამდენიმე ვაგონი შეაკეთოს იმ მასალით, რომელიც ბაბაევმა მოიგონა და რომელსაც ცეცხლი ზიანს ვერ აძლევს.

— კიევის ერთს სამკურნალოში შემდეგი ამბავი მომხდარა. ახლად დაბადებული მკვდარი ყმაწვილი დაუსვენებიათ ცალკე ოთახში და დამარხვას უპირობდნენ თურმე. სასაფლაოზე წასვენების წინად, ყმაწვილი გაცოცხლებულა და წივილი დაუწყია. წივილზე მოსამსახურე შესულა ოთახში და ცოცხალი ბავშვი ისევ დედისთვის მიუგვრია.

— მოჟაისკის მაზრის სოფელ ბოროდინოში ფრიად შემაძრწუნებელი კაცის-კვლა ჩაუდენია ერთს 63 წლის მოხუცს კაცსა. ეს კაცი მგზავრად მისულა სოფელს ბოროდინოში, უთქვამს, სმოლენსკელი ივანე პიროჟკოვი ვარო, და უთხოვნია მედუქნისთვის, მღვდლის სახლი მასწავლე, უნდა ვეზიარო, რადგან ავად ვარო. პიროჟკოვი მისულა მართლა მღვდელთან და ზიარებულა. შემდეგ ისევ დუქანში მობრუნებულა და ჩაი დაულევია. როდესაც დუქნიდგან გამოსულა, წინ შეხვედრიან ერთი 10 წლის ვაჟი და 8 წლის ქალი. პიროჟკოვი მაშინვე სძგერებია ამ საწყალს ბავშვებს და ორივესთვის მუცელში დანა დაურტყამს. ქალი თურმე ისე ძლიერ არის დაჭრილი, რომ სიკვდილს ეღარ გადაურჩება, და ვაჟის მორჩენის იმედი-კი აქვთ მკურნალებს. პიროჟკოვი შეუპყრიათ და დაუპატიმრებიათ.

— არა ნაკლებ საზარელი ამბავი ჩაუდენია მეორე მოხუცს 60 წლისას კამიშინის მაზრის სოფელ დობრიკინში. ამ კაცს ცულით მოუჭრია თავი თავის წლისა და 8 თვის შვილი-შვილისთვის. როცა პირველად სოფელში ხმა გავარდნილა, რომ ასე და ასე მოხდაო, არავის არ დაუჯერებია, მაგრამ მისულან მოხუცის სახლში და ყველაფერი მართალი გამომდგარა. თავ-მოჭრილი ყმაწვილი სისხლის გუბეში ფართხალაობდა თურმე და ექვსი კაციც გულ-შეღონებული იქვე მიწაზე ყოფილა წაქცეული. ბავშვს იმ ღამეს დედასთან სძინებია და დილით, როცა დედა სამუშაოდ წასულა, ბავშვი პაპას ჩაუწვენია თავისთან. პატარა ხანს უკან ამ მოხუცის შვილს დაუნახავს თავისი მამა, რომ ხელში თავ-მოკვეთილი ბავშვი სჭერია და ამბობდა თურმე: „ვინც მიყვარდა, სწორედ იმას გაუქრე სიცოცხლეო.“ მართლაც საწყალი ბავშვი მთელის სახლობის სათაყვანებელი და საყვარელი ყოფილა. მაშ რაღად მოჰკლაო, იკითხავთ. აი რა უთქვამს მკვლელსა. „ჩავიწვინე თუ არა ყმაწვილი ლოგინში, ორი კაცი მოვიდა და მითხრა, რატომ მამალს თავს არ მოსჭრიო; როცა უთხარ, რით მოვჭრა მეთქი, მიპასუხეს, ცული აქა და აქ არისო. აღარ მახსოვს, ბავშვი როგორ დავდე კუნძზე და როგორ მოვჭერ თავი. მხოლოდ მაშინ მოვედი გონზე, როცა ყმაწვილმა შესწივლა, მაგრამ გვიანღა იყო, თავი უკვე მოკვეთილი ჰქონდა. ვერ შემიძლიან აგიხსნათ, რა მომივიდა და რა დამემართაო“. ეს მოხუცი ძლიერ თურმე ლოთობდა და შეიძლება იმისაგან დაებნა გონება.

◆◆

უცხოეთი

ჩრდილო-ამერიკა. ჩრდილო-ამერიკის შტატების მთავრობამ მოუმატა ბაჟს საზღვარ-გარეთიდამ შემოტანილის საქონლისას. კანონ-პროექტი იმისი თუ, რა საქონელზედ რამდენი იქმნას მომატებული ბაჟიო, წარუდგინა ვაშინგტონის სენატს მაკ-კინლიმ და სენატმა, საკმაოდ ხანგრძლივის ლაპარაკისა და გამორჩევის შემდეგ შეიწყნარა ეს პროექტი 40 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 29 ხმისა. ევროპიელი ვაჭრები და მრეწველნი დიდად შეაწუხა ამ გარემოებამ: ისინი არ მოელოდნენ, თუ ის ორმო, რომელსაც თითონ მათი მთავრობანი სხვას უთხრიდნენ, მათივე სამარხი შეიქმნებოდა; სამარხი მათიო, ვამბობთ იმიტომ, რომ ჩრდილო-ამერიკის ახალის საბაჟო ტარიფი მეტად სულის შემხუთველია იმ ევროპიელ ვაჭართა და მრეწველთათვის, რომელნიც თავიანთ საქონელს ჩრდილო-ამერიკაში ასაღებდნენ. ბაჟი ზოგიერთს საქონელზე თითქმის ერთი-ორად არის მომატებული. ცხადია, რომ ასე ბაჟის აწევის გამო ევროპიელთ თითქმის სრულიად ხელი აიღონ უნდა თავიანთ საქონლის გზავნაზე ამერიკაში. რაც ამ სახით დააკლდება ამერიკას, იმას თითონ დაუწყებს წარმოებას. ბლენის აზრით, რაკი მაკ-კინლის კანონ-პროექტი შეწყნარებულ იქმნა და ევროპიულს ვაჭრობას ამოეხუთა სული ჩვენშიო, ამერმერიკას დაუდგება დრო თავის მრეწველობის დიდის წარმატებისა და აღორძინებისაო. მაგრამ ყველა ასეთის აზრისა არ არის ამერიკაში. ბევრი დიდად ეწინააღმდეგება საზოგადოდ ბაჟის დაწესებას უცხოურ საქონლისათვის და უფრო მომხრეობს თავისუფალს ვაჭრობას ერთა შორის. თვით მაკ-კინლის პროექტის განხილვას სენატი დიდხანს მოუნდა და 69 კაცში 29 კაცი ეწინააღმდეგებოდა კანონ-პროექტს. ასეც უნდა მომხდარიყო. მფარველობის პოლიტიკა ბაჟის საქმეში ყოველთვის და ყველაფერში სასიკეთო არ არის ქვეყნისათვის. თუ დიდი ბაჟი ერთგვარ მრეწველთ ახარებს და იმედს აძლევს დიდის მოგებისას, სამაგიეროდ, შესაძლოა იგივე დიდი ბაჟი მეორე გვარ მრეწველთა და მწარმოებელთ სულს ართმევდეს და ზარალს უქადიდეს. საზოგადოდ სახელმწიფოს წარმოება და მრეწველობა რთული საქმეა, ნაწარმოები, ქარხანაში გადასაკეთებელი, ძნელი განსასაზღვრელია იმ ნაწარმოებისაგან, რომელიც უკვე გადაკეთებულია: მათ შორის მაღალი კიბეა მრავალის საფეხურებით. მხნელ-მთესველთ რომ მოუხდეს აღკრძალვა იმის ქვეყანაში პურის შემოტანისა, შესაძლოა ზოგიერთს ხელოსანს, ზოგიერთის წარმოების პატრონს ასეთი აღკრძალვა სრულიად არ ეპაშნიკოს. აგრეთვე ზოგიერთ სხვაგვარ წარმოებისა და ნაწარმოების შესახებაც. ეს არის მიზეზი, რომ ჩრდილო-ამერიკაში დიდს დღეგრძელობას არ უქადიან ზოგიერთნი ახლად შეწყნარებულს კანონ-პროექტს მაკ-კინლისას. მაგალითად პროფესორს გოლდვინ სმიტს უთქვამს, რომ ახალის ვითომ ჩვენის ქვეყნის დამფარველის ბაჟის შემოღება უმაღლესი მწვერვალია მფარველის სატამოჟნო პოლიტიკისაო და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მაგ პოლიტიკას მალე სრულიად ბოლო მოეღებაო.

◆◆

წვრილი ამბები

ამ რამდენისამე თვის წინად გერმანელმა პროფესორმა კალდარაფმა გამოაცხადა, რომ ახალი საშუალება მოვიგონე სპირტის გამოხდისაო. ამ პროფესორის მიერ მოგონილი ახალი საშუალება ერთი რაღაც სითხე ყოფილა, რომელსაც ეხლანდელი რთული გამოსახდელი იარაღები და მანქანები სრულიად არა სჭირდება, მხოლოდ დამყავებულს და დუღილში შესულს მასალას უნდა გადაესხას და 3—4 საათის განმავლობაში სპირტი გამოიხდება. კალდარაფის სპირტი სიმაგრით არა თუ ნაკლებია ეხლანდელს სპირტზე, არამედ გაცილებითაც სჯობია; გამოსავლითაც კიდევ უფრო მეტი გამოჰყავს. სადაც ეხლანდელს სპირტის სახდელს ქვაბებს 6—7 თუნგი გამოჰყავთ, იქ კალდარაფის საშუალებით 8—9 თუნგი იხდება. გერმანელ სპირტის მწარმოებელთა და ფინანსთა მინისტრის თანდასწრებით კალდარაფმა უკვე სცადა თავის მიერ მოგონილ სითხით სპირტის გამოხდა და დაარწმუნა, რომ მართლა ძლიერ შესანიშნავი მოგონებაა იმისი მოგონება. სითხე კიდევ იმითია კარგი, რომ

ვით ბედოვლათათ არა ვარ გაზრდილი. ჩემი გამარჯვება იყოს! (ხელადას მოიყუდებს და დიდხანს სვამს).

ლუკა. ეს ოხერი, უძირო ქვევრია

სანდრო. იქნება, კაცო, სადმე გასავალი ტრუბა აქვს.

თამ. (ამოისუნთქავს) როგორია? თქვენ რა იცით, შვილოსან, სმისა; გარყვნილები ხართ, — ერთი ბეწო ყლუპსა შერებით არქიელივითა!

ლუკა. ნურც ძალიან იკვეხი, მაიცა ჯერ მეც შენოტელა ვიცოცხლო!

სანდრო. არა, ლუკა, — ვერა ხედამ, კნიაზი სწორედ მდევია? მაგისთანა მსმელი ვინ არი კახეთში?

თამ. მაშ არა და, თქვენმა სიყმემ, მამა თქვენი მაჯობებდა.

ლუკა. ვხუმრობდი, კნიაზ, რას ამბობ, — შენისთანა ჰკვის პატრონს ვინმე მეერევა?

სანდრო. მერე როგორი ჰკვისა? ამბობენ, რომ ვისაც უფრო ძალიან მოწმენდილი აქვს კეფა, უფრო ჰკვიანიაო, — შენი მოსელეპილი თავის ჭირიმე! ენაცვალოს ამას ბაბუცა, — ისე ბჭყვინავს, როგორც ქალაქური მიჩინა!

თამ. ჰი, ჰი, ჰი! — ჰკვაა საქმე, ჰკვა! უჰკოოთ არც ქუდ-ბედიანი ვარგა, — ჰი, ჰი, ჰი!

ლუკა. მაშ, მაშ! — საცაა იალღაშვილის ზანდუკები შენი იქნება! — უყურე მაშინ სეირსა: გონია ფულს სულ მუქთად არიგებდე; იალღაშვილივით ხო თუმანზე ექვს შაურს არავის გამოართმევ!

სანდრო. კარგი ამბავი იქნებოდა, აი! კნიაზი და ბანკის პატრონი — ჰა, ჰა, ჰა!

თამ. ჰი, ჰი, ჰი, — რა ჩვენი საქმეა ფულების შანახვა, ვიქეიფებდი, სულ ვიქეიფებთი, ჰი, ჰი, ჰი!

სანდრო. გენაცვალე მაგ უმანკო სულში! ნეტავი რატო შენ იალღაშვილი არა ხარ და მემრე მამა ჩემი!

ლუკა. (იცინის) მე ვიცი, სასუფეველს მეეწევოდი! შვილი არა ჰყავს, მშიერი დაუდის! შინაც არ უდგება, — აქ, ტრახტინში, სძინამს ხოლმე!

თამ. რაც მქონდა ვისგანმე მამიპარამს? ჩემი იყო და შევჭამე, — ვის რა საქმე აქვს?

სანდრო. ოღონდაც, — ფულს რა ბაფა აქვს, — გიჟი იყავი შაგენახა?

ლუკა. მაშ არა და, — განა ისეთი უჭკო ხარ ფულები დაალპო?

თამ. მაშა, მაშა? აბა ერთი მდიდარი მიჩვენე, რომელსაც ფულები საიქიოს წეეღოს?

სანდრო.
ლუკა. } მაშა — ვა!

თამ. დაელიოთ, დაელიოთ, — ჰი, ჰი, ჰი! — მტერს თვალები დავჩიჩქნოთ ქალებს იმიტომ უყვარდი, რო ფულის ანგარიში არ ვიცოდი; აბა ის ვაჟკაცი რა ვაჟკაცია, რომელიც ფულის ხარჯვაში ხთვლის?

სანდრო. იმიტომაცა ხარ ასეთი ბედნიერი, შენმა მზემ!

ლუკა. კნიაზ, შენ დღეში ქალს არ უცემიხარ, თუნდა შენ ცოლსა!

თამ. შენისთანებსა სცემენ, შე უბადრუკო! ქალები მე ფეხებს მიკოცნიდნენ, ფეხებს!

სანდრო. მაშ ხელიც არ უხლიათ?

ლუკა. მაშ ქინის დროს არც-კი უკბენიხარ?

თამ. ჰი, ჰი, ჰი, — იმ რჯულ ძაღლებმა რა კბენა იციან!

ლუკა. აკი ხელიც არ უხლიათო?

თამ. კბენა მე მიყვარს კიდეც, რათ ვარგა ის ქალი, რომელიც ან არ გიკბენს, ან არ გიჩქმეტს!

სანდრო.
ლუკა. } ჰააა, შე ბებერო, — კიდევ აცუნდრუკდი? ჰა, ჰა, ჰა!

თამ. განა ცოტა რამ გადამხედია! ქალაქი ავიკელი სწორეთ!

ლუკა. თუ ღმერთი გწამს, აბა ერთი გვიამბე რამე!

სანდრო. აბა, პირველად რო ქალაქში ჩახველი, როგორ გეჩვენა იქაური ქალები?

თამ. ჰი, ჰი, ჰი! — ჯერ დაელიოთ! (სვამს ხელადით).

სანდრო. (გულს უწმენდს) გულზე ჩამოგდის, კნიაზ, გეყო!

ლუკა. ღვინოს რო ბაჟი ჰქონდეს ქალაქამდინ რუმბ ღვინოს წაგალებინებდი!

თამ. (ძალიან დათვრება) ჰა, ჰი, ჰი, თქვენ რა შაგიძლიანთ, — წიწილები ხართ, წიწილები! მეც რომ მამა ჩემს თქვენსავით გავეზარდნე.. აბა თქვენ რა ხართ? თქვენ ვირის თავები ხართ, ვირის თავები!.. ჭუკები ხართ, ბატის ჭუკები!..

ლუკა. კნიაზ, კარგა გამოილუროთე, აი, ღვთის მადლმა! ქალაქის ამბებს ეხლა რაღას გვიამბობ!

სანდრო. რა დროსაა, კაცო, — წავიყვანოთ, მთვრალია!

თამ. (ატყაპუნებს ფეხებს) ჰი თქვე.. ვირებო, ვინ არი მთვრალი?.. ვინ არი მთვრალი?.. თქვენოდენა ჰკვა... იმდენი ჰკვა მაქვს... თქვენზე ბევრი... თქვე, ვირებო! — ყური დამიგდეთ უნდა გიამბოთ — ქალმა როგორა მცემა ქალაქში.

ლუკა.
სანდრო. } მაშ თქვი, თქვი!

თამ. იმ კახპა უნამუსომ... იმას ეგონა... იმას ეგონა... მითომ სახეზე არ ეტყობოდა...

ლუკა. როგორ მოხდა. სთქვი შენი სულისა!

თამ. აბა ქალაქში ბინდისას ნამუსიანი ქალი... ბულვარზე გაიელის?.. მიდიოდა... ერთი უნამუსო... დავედევნე... ჰი, ჰი, ჰი, იმას ეგონა... ჰი, ჰი, ჰი, იმას ეგონა ძალიან მიჭირდა... ჰი, ჰი, ჰი! სუ უკან უკან იხედებოდა თითქმის ერთი ვერსი... უკან მოვდევდი... მერე შიგ ბულვარში... ჰი, ჰი, ჰი, მამიბრუნდება... რა გინდაო?.. არ იცი მეთქი?.. ერთი... გამარტყა ზონტიკი სახეში... ჰი, ჰა, ჰი, — შაიყარა ხალხი... მე-კი, გავიქეცი, გავიქეცი... ეღარ დამიჭირეს... ჰი, ჰი, ჰა!..

სანდრო.
ლუკა. } კაი საქმე მოგსვლია, კნიაზო, — ქალებს ძალიანა ჰყვარებიხარ, გეტყობა. (იცინიან)

თამ. მერე... როგორა ტიროდა, რო გენახათ... ჰი, ჰი, ჰი!.. მე კი დავიძერი... ჰი, ჰი, ჰი!

(შემდეგი იქნება)

ამ საშუალებით სპირტის ნახადი კარტოფილი მშვენიერი მასალაა თურმე ქაღალდის მოსამზადებლად. თვით სითხეს მომზადებაც ძალიან იაფად დაუჯდებათ.

— გიორგობის თვეში სამხედრო დღესასწაული ექნებათ ინგლისელებს. პლიმუტში უნდა ავგონ ძეგლი სახსოვრად დიდის არმადის შემუსვრისა. დღესასწაულის გამგედ გემბრიჯის ჰერცოგი იქნება.

— არგენტინის რესპუბლიკაში ახირებულს ღონის-ძიებას ხმარობენ თურმე ლოთების მოსარჯულებლად. ამას წინად როზარიოში მისულა ვიღაც ვაჭარი და ლოთობა დაუწყია, ჯარიმის გადახდევინების მაგიერ აუღიათ და მთელი ერთი კვირა ქუჩები უგვიინებიათ ლოთ ვაჭრისთვის.

— ეხლახან სიცილიის ქალაქ სირაკუზში ერთი გედი მოკვდა, რომელიც სამასი წლისა ყოფილა.

— ერთი ახირებული ამბავია მოთხრობილი ფრანგულ გაზეთებში. დიჟონელი ნოტარიუსი სოფლად იყო და თავისი საყვარელი ძაღლი ქალაქში ჰყავდა დატოვებული. ტელეფონით შეატყობინა თავის კანტორაში, ჩემს ძაღლს ყური მოადებინეთ ტელეფონის თავზეო, და როცა ძაღლი მართლა მიიყვანეს ტელეფონთან, დაუძახა: ფოქს! ფოქს! და ძაღლი სოფელში წავიდა პატრონთანაო.

— აქამდის იმ აზრისა იყვნენ, რომ ხიზილალის სახელს პირველად მეხუთმეტე საუკუნეში იტალიელი პლატინა იხსენიებსო, მაგრამ ამ ჟამად ერთი ბერძნული ჟურნალი ამბობს, რომ ხიზილალის მოგონება ჩვენ გვეკუთნის, რადგან მეთხუთმეტე საუკუნეზე ადრე სალონიკელ ეპისკოპოზის ესტატეს თხზულებაში ორნაირის ხიზილალის აღწერაა შავისა და წითელისაო. ესტატე ეპისკოპოზი მეთორმეტე საუკუნეში სცხოვრებდა და იმის დროს ვიღაც ხიზილალის მოვაჭრეც ყოფილა კონსტანტინეპოლშიო.

— ჩინეთში დიდ პატიოსნებად ითვლება, თუ დაქვრივებულმა ქალმა ძალათი მოიკლა თავი და ქმარს გადაჰყვა. ამას წინად ერთს ახლად დაქვრივებულს, 24 წლის ქალს, მოუწადინებია თავის მოკვლა და, შეუტყვიათ თუ არა ეს ამბავი, აუარებელი წრილი მოსულია, მოდი გვეწვიეო. ერთს სახლში უკანასკნელის მეჯლისის დროს ეს ქვრივი მაღალ ტახტზე დაუსვამთ და მოხუცებულები იმის წინ მუხლს იყრიდნენ თურმე, თითქო ხატიაო. შემდეგ გავარდნილა თოფი იმის ნიშნად, რომ სიკვდილის დროაო და ქალს სარჩობელაში გაუყვია თავი. იმპერატორს რომ შეუტყვია ეს ამბავი, მაშინვე უბძანებია, ამ ამბის სახსოვრად რკინის ფირფიტა გააკეთეთ და ზედ ქვრივის სახელი ამოსჭერითო.

◆◆

დეპეშა

6 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრის უფროსის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელობაზე ალლუმის გათავების გამო. რესკრიპტში ნაბრძანებია, რომ ჯარი შვენიერად იყო მომზადებული, სარდალნი და უფროსნი ჯარისანი ჩინებულად განაგებდნენ თავიანთ საქმეს და დიდის მთავრის ფრიადს მოხერხებას უნდა ვიმადლოდეთ, რომ ისე სამაგალითოდ ჩაიარა მანევრებმა ჯერ ჩვენში ისე მრავლად არასოდეს შეკრებილის ჯარებისამაო.

ბაქო. გუშინ საღამოს ფინანსთა მინისტრი უზუნ-ადას გაემგზავრა.

ბერლინი. გუშინ მობრძანდა ავსტრიის იმპერატორი რონშტოკის ციხე-დარბაზში გერმანიის იმპერატორის სანახავად. ამ ციხე-დარბაზის ახლოვე იმყოფება სტუმრად საქსონიის მეფე, რომელიც, როგორც ამბობენ შუა-კაცობასა სწევს რაღაც საქმეების გამო ამ ორ იმპერატორთა შორისაო. რონშტონშივე მივიდნენ გრაფი კალინოკი და დე-კაპრივი.

პარიჟი. პრეზიდენტი კარნო მოვიდა კამბრეში ალლუმზედ დასასწრებად. სამხედრო ბანკეტზე კამბრეში გენერალმა ბილიომ დალია სადღეგრძელო უცხო ქვეყნების მეფეთა, რომელთა წარმომადგენელნიც დაესწრნენ ალლუმსა. ამის პასუხად რუსეთის სამხედრო აგენტმა პარიჟში ბარონმა ფრედერიკსმა დალია კარნოს სადღეგრძელო. შემდეგ სამხედრო მინისტრმა ფრეისინემ დალია სადღეგრძელო საფრანგეთის ჯარის-კაცისა. ამასთანავე ფრეისინემ სთქვა, რომ საფრანგეთის ერთ დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს ალლუმსაო. ეს ამტკიცებსო, განაგრძო მინისტრმა, რომ ჯარის-კაცსა და ერის შორის არსებობს მკვიდრი კავშირი ქვეყანის საკეთილდღეოთაო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 სექტემ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	— „	— „	6 16
ტამოჟნის კუპონები	— „	„	123½
მანეთიანი ვერცხლის ფული	1 12	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	227
—მეორისა	— „	— „	213
—მესამისა	212½	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობით და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

ქართული ქრისტომატია

შედგენილი

მ. ნასიძის მიერ.

ვინც ოც წიგნს ერთად იყიდის, მანეთზედ 30 კაპ. დაეთმობა. ამ წიგნის შეძენა შეიძლება აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაშიც, ბაღის ზემოთ, მაკაროვის სახლებში.

(2—2)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 25 დეკემბერს 1889 წლ. გადასწყვიტა, დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია: 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დანიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებას და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიული ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებს და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) სასურველია შიგ ისეთი სცენები იყოს ჩართული, რომ ახალი ძვირფასი დეკორაციები და ტანისამოსი, ან სხვა ამ გვარი ძნელად მოსახერხებელი სასცენო მოწყობილობა არ უნდოდეს.

9) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულ საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიათინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით; მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორი და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

10) პიესები წარმოდგენილი უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალ პირველ ღვინობისთვემდე.

11) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს იმათ თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნედ იცნობს.

12) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს იმისი ღირსება და ნაკლულევანება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს-კი სასცენო ნიჭს შეამჩნევს.

13) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ ის თავის პიესას ამას იქით იცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად.

(3—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გაზაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности.
Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

დედათა გიმნაზია მ. ა. სერპინეარისტოვისა.

ამ სასწავლებელს ყოველივე უფლება აქვს მინიჭებული მთავრობის გიმნაზიებისა. ეხლა გადავიდა რტიშჩევის ქუჩაზედ, შმაკოვის სახლში. ბავშვებს ყოველ-დღე მიიღებენ ყოველ კლასისათვის. სწავლა 1 სექტემბრიდგან იწყება.

გიმნაზიასთან არის პანსიონიც, რომელშიაც მოწაფეებს იყვანენ სრულისა და ნახევრის ხარჯით. პანსიონში განსაკუთრებული ყურადღება ახალ ენებისა და მუსიკის სწავლებასა აქვს მიქცეული. (3—3)

Доз. цен. Тифлисъ, 6-го Сентября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე